ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №2

აბაშა, 2023 წლის 24 იანვარი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლis პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლისა და 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მერიაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის 2023 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო წლის დასრულებამდე 6 (ექვსი) ერთეულით გაზრდის თაობაზე.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია